თემა 18
საყიდლები
покупки

გაკვეთილის მიზანი:

გააცნოს ბავშვებს სასურსათო მაღაზიასთან დაკავშირებული მცნებები და ლექსიკა. განუვითაროს საყოფაცხოვრებო თემატიკასთან დაკავშირებული ნუმეროლოგია. მისცეს ბავშვებს საკვები პროდუქტების კატეგორიზაციასთან დაკავშირებული პრინციპების ცოდნა.

განავითაროს საყოფაცხოვრებო კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და მოტივაცია. აუხსნას ბავშვებს შერჩევის კრიტერიუმების და პირადი გადაწყვეტილების პრინციპები და მასთან დაკავშირებული მსჯელობა.

კონკრეტული ამოცანები:

- განუვითაროს ბავშვებს საყიდლებთან დაკავშირებული ლექსიკა და კომუნიკაციური უნარები
- ხელი შეუწყოს მარტივი არითმეტიკის, ზომისა და ფორმის ერთეულების ინტეგრირებას კონკრეტულ თემატიკასთან.
- განუვითაროს ბავშვებს მაღალი სააზროვნო უნარები, რომელიც კატეგორიაზაციასთან არის დაკავშირებული.
- მიაჩვიოს ავთენტური ინტერაქციის პრინციპებს

ლექსიკური ამოცანები	გამოყენებული ფრაზები და წინადადებები
საყიდლები, ხილ-ბოსტნეული, რძის ნაწარმი, არაჟანი, კარაქი, ყველი, სოსისი, კვერცხი, პასტა, სპაგეტი, ხორცის ნაწარმი, თევზეული, პურ-ფუნთუშეული, სასმელი, დახლი, სალარო, ურიკა, რიგი, გადახდა, ბარათი, აწონა, წონა, გრამი, კილოგრამი. ახალი, გაყინული. კვება, განყოფილება, შენახვა, გადახდა	ხილ-ბოსტნეულის განყოფილება რძის ნაწარმის განყოფილება თევზეულის განყოფილება პურ-ფუნთუშეულის განყოფილება ხორცეულის განყოფილება სასმელების განყოფილება. საყიდლების ურიკა ამიწონეთ 2 კილოგრამი დახლზე აწყვია მაცივარში შენახვა კაფეში დავსხდეთ

აქტივობა - ჩვენი სუპერმარკეტი

ბავშვებთან ერთად შექმენით სუპერმარკეტი, სადაც სახელდახელო თოროებზე და დახლებზე დააწყობთ სხვადასხვა ტიპის სურსათსა და პროდუქტებს. პირველ ეტაპზე სთხოვეთ ბავშვებს, რომ გაიხსენონ ის საკვები პროდუქტები, რომელსაც იცნობენ. ამ დროისათვის გქონდეთ ჟურნალებიდან ამოჭრილი სხვადასხვა დასახელების პროდუქტის ფოტოები. სასურველია, რომ ნახატები მრავალფეროვანი იყოს, რომ ყველა ბავშვმა შეძლოს იმ პროდუქტის დასახელების შესაბამისი სურათის მოძებნა რომელსაც გაიხსენებს. მას შემდეგ, რაც ბავშვების ცოდნის მარაგს ამოწურავთ, გადადით პროდუქტებისა და სურსათის იმ სურათებზე, რომელთა დასახელებაც ბავშვებმა ჯერ არ იციან. აიღეთ სურათი, (სასურველია, რომ ყველა სურათს ზეგ მიწერილი ჰქონდეს დასახელებაც), აჩვენეთ ბავშვებს, ხმამაღლა დაასახელეთ პროდუქტის სახელი და დადეთ თაროებზე.

ახლა აუხსენით ბავშვებს, რომ პროდუქტები უნდა დაახარისხოთ. აჩვენეთ წინასწარ გამზადებული ეტიკეტები, რომლებსაც თითოეულ თაროზე (დახლზე) განათავსებთ. მაგალითად: პური, ნამცვარი, ფუნთუშა, პასტა - დააწყვეთ ცალკე თაროზე, ხმამაღლა წარმოთქვით - პურ-ფუნთუშეული. ახლა მოათავსეთ ხორცი, სოსისი, ძეხვი - წარმოთქვით - ხორცეული. რძის ნაწარმი - რძე, ყველი, კარაქი, მაწონი და ა.შ.

ყველაფერს რომ განალაგებთ, სთხოვეთ ბავშვებს, აიღონ ის პროდუქტი, რომელიც უყვართ. წაახალისეთ, რომ ბავშვებმა დაასახელოთ საყვარელი პროდუქტების სახელწოდებები.

აქტივობა - საყიდლების სია

სთხოვეთ ბავშვებს მცირე ჯგუფებში შეიმუშაონ საყიდლების სია. სთხოვეთ, რომ დახატონ ის პროდუქტები, რომლის ყიდვასაც აპირებენ. წააკითხეთ საყიდლების სია ბავშვებს. ეცადეთ, რომ დაასახელონ პროდუქტი: „ჩვენ გვჭირდება ..... . ჩვენ კიდევ გვჭირდება ....., თამაზს ჭირდება ....., ტატას უყვარს ..... და ა.შ.

აქტივობა - სურსათის კატეგორიზაცია

ახლა, როდესაც დახლები და თაროები მომზადებული გაქვთ შესაბამისი კატეგორიებით, სურათების დასტა დააწყვეთ ბავშვების წინ და სთხოვეთ მათ, რომ პროდუქტების კატეგორიებად გამიჯნონ. იგივე აქტივობა შესაძლებელია, რომ სურათებზე გააკეთონ და კატეგორიების მიხედვით ფანქრებით შეაერთონ ერთი და იგივე კატეგორიის პროდუქტი.

აქტივობა - სავაჭრო ურიკა

სთხოვეთ ბავშვებს, ააწყონ ჯგუფში ფაზლი „ურიკა“. აწყობილ ურიკაში „ჩაატვირთვინეთ“ სხვადასხვა პროდუქტების სურათები. ურიკის გავსების შემდეგ კი, სთხოვეთ ბავშვებს დაასახელონ, რაც ჩააწყვეს ურიკაში.

აქტივობა - პეპა საყიდლებზე

აჩვენეთ ბავშვებს ნახატი ფილმი პეპაზე. აჩვენეთ რამდენჯერმე და გაამეორებინეთ იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელიც პეპას ოჯახმა შეიძინა. ასწავლეთ ბავშვებს ის გამოთქმები, რომლებიც ნახატ ფილმშია მოცემული. ახლა შეგიძლიათ სთხოვოთ ბავშვებს, რომ თავად დადგან თეატრი და სხვა პროდუქტები „იყიდონ“.

აქტივობა - ვიყიდოთ პროდუქტები

ეს აქტივობა წინა აქტივობის გაგრძელება/განვითარებაა. სთხოვეთ ბავშვებს დაინაწილონ როლები, ერთი, იყოს მოლარე. ერთი კი, გამყიდველ-კონსულტანტი (მოლარის და გამყიდველ კონსულტანტის როლი იმდენჯერ უნდა შეიცვალოს, სანამ ბავშვებს არ მობეზრდებათ). სთხოვეთ ბავშვებს, რომ არჩეული პროდუქტების სალაროზე გატარებისას, დაასახელონ, რას ყიდულობენ და მოლარეს ჰკითხონ, რა ღირს თითოეული პროდუქტი. ბავშვებს მიეცით ქაღალდის თვითნაკეთი ფული, 1-დან 5 ან 10 ლარამდე კუპიურებით მიეცით ბავშვებს საშუალება, იანგარიშონ რამდენი უნდა გადაიხადონ, რამდენი ხურდა მიიღონ რომ სასურველი პროდუქტი შეიძინონ.

წაახალისეთ ბავშვები, რომ გამოიყენონ ახალი სიტყვები და გამოთქმები:

რა ღირს ნაყინი?

სად არის პასტა/სპაგეტი? სად დევს არაჟანი?

აქტივობა - სად დევს?

წინა აქტივობის გაგრძელება - განვითარება. ერთერთი დახლი მაცივრად გადააკეთეთ და სთხოვეთ ბავშვებს ჩააწყონ ის პროდუქტები, რომელსაც მაცივარში შენახვა ჭირდებათ. ახლა კი აარჩევინეთ ჯგუფებში სურსათის ფოტოებიდან ის პროდუქტები, რომლებსაც მაცივარში შეინახავენ.

აქტივობა - ვისწავლოთ ლექსი

მელაკუდას მაღაზია

უღრან ტყეში მელაკუდამ
გახსნა დიდი მაღაზია
და წარწერა ჩამოკიდა
“შემობრძანდით, არის ღია”.

სავსე არის დახლები და
მრავალ რამეს ყიდის რადგან,
ვინ გინდა, რომ აქ არ ნახოთ
მყიდველების რიგი დადგა

დათუნია თათს ილოკავს,
კასრები დგას თაფლისაო
მელაკუდა ეკითხება:
  ცაცხვის გსურს თუ წაბლისაო?

აბურდღუნდა დათუნია
  კარგად უნდა გამივსო,
სამი ქილა ცაცხვის მინდა,
ოთხიც კიდევ წაბლისო.

თაფლი სულაც არ სჭირდება,
ხორცის რიგში დადგა მგელი
  მეც მომხედე, მელაკუდავ,
რა ხანია ვდგევარ, გელი

მელა ცდილობს რუხი მგელი
არ დარჩეს გულნაკლულია,
  გაყინული არ გეგონოს,
სულ ახალი დაკლულია

ტურა ქათამს ეტანება,
მსუქან მსუქან დედლებს არჩევს
ჭყინდი ტარო სიმინდისა
სათითაოდ მიაქვთ მაჩვებს

შეიძინა ყანჩამ თევზი,
ბაყაყების სამი აცმაც.
ჭაობისას მაღაზიის
კი სჯობია, რომ თქვას კაცმა.

კურდღელმა თქვა: ეს სტაფილო
უნდა დავდგა გოდრითაო,
სულ მოვითქვამ, დავიღალე
ამ ბალახის კორტნითაო

ზღარბმა აისხა ეკლებზე
თურაშაული, კეხურა.
გარეთ რომ გამოცუნცულდა
თავზეც ვაშლები ეხურა. ,

ტახმა ტომრები დაავსო
ნარჩევი რკოთი, წაბლითა.
სანამ სახლამდე მივიდა
გზაში ეშვებით დაფლითა.

და როცა ბოლო მყიდველიც
ეზოში გამოეხეტა,
მელიამ მიმოიხედა,
ცარიელ დახლებს შეხედა,

თქვა: - ვაფართოებ ვაჭრობას,
ეს უნდა გადავაკეთო
და მაღაზიას ხვალიდან
დავარქმევ "სუპერ-მარკეტსო".

საქმეს ავაწყობ თანდათან,
განა ვაჭრობა ძნელია.
ქათმის ქურდს ვინღა მიწოდებს,
ვიქნები ბიზნესმელია.

ვასილ გულეური

წაუკითხეთ ბავშვებს ლექსი, რომელიც რთულია, მაგრამ შეიძლება მაინც მოეწონოთ.

რესურსები:

სუპერმარკეტი (ბანერი)